

572 /
1987 / 2



1987 மார்ச்சு N. 2

சென்னை



ლენინის • აკადემია •



ა ვ ა ნ გ ა რ დ ი

არმიაში ავანგარდს ჯარის იმ ნაწილს ეძახიან, რომელიც ყველაზე წინ მიდის ომში... ჩვენ ახლა ლენინელთა არმიის ავანგარდზე ვლაპარაკობთ — ეს არის ჩვენი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც წინ უძღვის ხალხს — ლენინელთა არმიის მთავარ ძალას — უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისა და შრომის გზაზე. მას გვერდში უდგას ქვეყნის ახალგაზრდების კომუნისტური კავშირი, რომელსაც 1924 წლიდან ლენინის სახელი ჰქვია. კომკავშირელები ახალგაზრდა ლენინელები არიან.

რ ა მ ი ა რ ვ ი

არმიაში რეზერვი ჯარის ის ნაწილია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მეთაურის გადამწყვეტილებით ებმება ბრძოლაში. ლენინელების არმიასაც ჰყავს თავისი რეზერვი. ისინი ჯერ არ არიან დიდ, საქვეყნო საქმეებში ჩაბმულნი. მათი მთავარი საქმეა კარგი სწავლა, შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, გულმართლობა... პიონერების დროშაზე ლენინის სახელი კიაფობს — პიონერები ნორჩი ლენინელები არიან, ოქტომბრელების საკმარდე ნიშანი — ლალისფერი ვარსკვლავი ლენინის ბავშვობის სურათით არის დამშვენებული — ოქტომბრელები პანია ლენინელები არიან. პიონერები და ოქტომბრელები ლენინელთა არმიის მომავალი მებრძოლები, მისი რეზერვი არიან.

„დილა“ — სპ. ალკა ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი

რას ნიშნავს ეს სიტყვები, „დილის“ ყოველი ნომრის გარეკანზე რომ შეგიძლიათ

ნაიკითხოთ? რას და იმას, რომ ჩვენი პატარების საკითხავი ჟურნალი „დილა“ ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდობის (ლენინური) კომუნისტური კავშირის (ცენტრალურ კომიტეტს, ესე იგი ჩვენი კომკავშირის



ყველაზე მთავარ, ყველაზე რჩეულ, უკეთეს ნაწილს; და ასახავს მის შეხედულებებს ცხოვრებაზე, ადამიანობაზე, ავზე თუ კარგზე. ყველაფერი ის, რაზეც თქვენ „დილაში“ კითხულობთ, კომკავშირელთა ცხოვრების წესია. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი კომკავშირის რიგებში გაზრდილი ახალგაზრდებიდან არჩევს „დილის“ რედაქტორს, ესმარება მას ისეთი საჭიროებო საკითხების გადამწყვეტაში, რომელთა გადაჭრა მართკმერად ადამიანს არ ეხელენიფება. აი, მაგალითად, სულ ახლახან საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერით „დილა“ შეცვალა ერთი თარიღი, რომელსაც



1987/2

ასევე კითხულობდით ყურნალის ყოველი ნომრის გარეკანზე.

მიაქციეთ ყურადღება: 1987 წლის პირველი ნომრიდან „დილის“ გარეკანს ნაცვლად სიტყვებისა: „გამოდის 1928 წლიდან“ აწერია: „გამოდის 1904 წლიდან“. რატომ შეიცვალა ეს თარიღი? იმიტომ, რომ სინამდვილეში მართლაც 1904-დან გამოდის „დილა“, ოღონდ მაშინ მას „ნაკადული“ ერქვა, 1928 წელს კი მხოლოდ სახელი შეეცვალა და „ოქტომბრული“ დაერქვა, ხოლო შემდეგ, ხელმეორე „ნათლობისას“ — „დილა“. ისე რომ, დღეს „დილის“ „სასპორტში“ დადგენილია მისი დაბადების სწორი თარიღი!

რა შეუძლია კომკავშირს

კომკავშირის ყველაზე მთავარი, ყველაზე დიდი, ყველაზე სამშვილემილო საქმეა ახალი თაობების აღზრდა.

ხომ ყველამ იცით მაია ჩიბურდანიძე? 17 წლისა იყო ის, ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა. მაია დღესაც კომკავშირელია და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატი თამარ გვერდნითელიც საქართველოს კომკავშირის აღზრდილია. თქვენოდენა იყო თამრიკო, როცა პიონერთა სასახლის საქვეყნოდ სახელგანთქმულ ანსამბლ „მზიურში“ მღეროდა.

კიდევ ვინ? აი თუნდაც მიშიკო გელაშვილი. მან დიდი ნიჭითა და ბეჯითი სწავლით დამისახურა გამორჩეული პატივით — 14 წლისა უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა.

მაგრამ მართო ესენი ხომ არა! რამდენმა ახალგაზრდა მუშამ, კოლმეურნემ, ინტელიგენტმა, პოლიტიკურმა მოღვაწემ მოიხვეჭა სახელი და დიდება კომკავშირულ ასაკში!

— სხვადასხვა დროს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს სათავეში ედგნენ ედუარდ შევარდანიძე, რომელიც დღეს საბჭოთა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრია, ჯუმბერ პატიაშვილი — ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი მეთაური, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ოთარ ჩერქეზია — დღეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

თავიდან კი..

„სპარტაკი“

ეს იყო ამ 70 წლის წინათ. 1917 წლის თებერვალში რუსეთში მოხდა რევოლუცია,



ტახტიდან ჩამოაგდეს მეფე ნიკოლოზ II, მაგრამ მუშათა კლასმა ჯერ ვერ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება. ჰოდა, მისი საქმის მხარასამბეულად, მის გვერდივერდ საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად რუსეთში გაჩნდა ახალგაზრდობის რევოლუციური კავშირები. მალე ასეთი ორგანიზაცია თბილისშიც შეიქმნა და მას „სპარტაკი“ ეწოდა. რატომ „სპარტაკი?“ იმიტომ, რომ სპარტაკი ერქვა მონათა აჯანყების ბელადს ძველი წელ-



საქ. სსრ კ. პარტიის
სახ. სახ. რესპუბლ.
გეგმვა

თალირცხვის | საუკუნის რომში. და თბილისელ ახალგაზრდობასაც ხომ მონობისაგან თავდახსნის მიზანი ამოძრავებდათ. თანდათან „სპარტაკელთა“ ჯგუფები ჩამოყალიბდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამა-სობაში რუსეთში მოხდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ერთი წლის შემდეგ შეიქმნა კომკავშირი, და საჭირო გახდა საქართველოს „სპარტაკელების“ გაერთიანებაც, რათა მათ ორგანიზებული დახმარება გაეწიათ ბოლშევიკებისათვის, და მათთან ერთად დაემხობთ საქართველოში გაბატონებული მენშევიკური მთავრობა, ჩვენშიც დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება. „სპარტაკელთა“ გაერთიანების და საქართველოს კომკავშირის შექმნის ორგანიზატორი იყო კაცი, რომლის სახელი ლეგენდასავით შემორჩა ჩვენს ისტორიას. ეს იყო ბორის ძნელაძე.

ბორის ძნელაძე — პატი, ლეგენდა,
ძალაძე...

„თავი არ დავმოგოთ გამარჯვებისათვის“ — ასეთი განწყობილებით ემზადებოდნენ საქართველოს კომკავშირელები — „წითელრაზმელები“ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. და აი დადგა ნანატრი გამარჯვებაც. საქართველოს ახალგაზრდობამ პარტიასთან ერთად აღადგინა გაპარტახებული სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, ააშენა ზაპსის და რიონჰესის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და კასპის ცემენტის ქარხანა... 1921 წელს თბილისში დაარსდა სამხედრო სკოლა, რომელსაც „წითელ მეთაურთა“ სკოლასაც ეძახდნენ და მის პოლიტკომისრად ბორის ძნელაძე დაინიშნა, ამ სკოლაში გაიზარდნენ შემდგომში სახელოვანი ქართველი სარდლები — გენერლები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს დიდ სამამულო ომში —

მათი სახელები თქვენც უსათუოდ გაგიგონათ: ლესელიძე, ჩანჩიბაძე, ჯინჭარაძე, მარაშვილი...

ომში ისევე გამოიჩინა თავი ქართველმა ახალგაზრდობამ — 135 კომკავშირელს და კომკავშირის აღზრდილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

გადიდოდა ხანი და მრავლდებოდა საქართველოს კომკავშირელი ახალგაზრდობის რაოდენობა, მრავლდებოდა მათი მიღწევებიც. მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით უაღრესად საჭირო, დიდ საქმეებში მონაწილეობდნენ ისინი და სამშობლოს მრავალ ჯილდოს იმსახურებდნენ...

ბორის ძნელაძის ნათელი სახელი უძღოდა წინ ქართველ კომკავშირელთა თაობებს და აი, მის სამუდამო სახსოვრად ამ ათიოდე წლის წინათ საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ახალ ქალაქს, კომკავშირულ ქალაქ „ბორის ძნელაძეს“. დღეს ყველამ იცით მისი არსებობა — თბილისის ახლოს, შავნაბადას მთის კალთებზე.

ლენინელების არმია

მძლეთამძლეა ლენინელების არმია — იგი ლენინური პარტიის ნევრებთან აერთიანებს ახალგაზრდა ლენინელებს — კომკავშირელებს, ნორჩ ლენინელებს — პიონერებს და პანია ლენინელებს — ოქტომბრელებსაც — ეს კი თქვენა ხართ. და ჩვენ ვცინდა, თქვენზე უფროს ლენინელებთან ერთად მოგმართოთ დიდი პოეტის — გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებით:

„გეკავოსთ, რაც უღრანია,
შეგვესოთ, — რაც ხარვეზია,
სამშობლო არ დაიციწყოთ,
სამშობლო უმთავრესია“.

•ლია კობალაძე

სარკამბარტო სარკამბარი

აწუათი, როგორც ქარი,
მოიქქარის, მოქრის გაა,
სარკამბარტო სარკამბარი
დვდას უხვად შეურწია.
ეუკლასური მოუტანა,
ბურთი, ცხენი, ყვისო, მურა,
არაფერი დანახა,
არაფერი დაიქურა.




მიეკითხა-მოეკითხა,
მოიძია ია-იაც,
ეალურსა დვდას დიდხანს,
ტკბილად, ტკბილად ჩაეწუა.
გაათბო და გაახარა
დვდა ერთმა მისნალოცმა:
ამ დუღუნა, ამ მახარა,
ამ, მატარა შეილის კაცნამ!..



პიტი პაპაშვილი

სამშობლოში დაბრუნება. „მგზავრის წერილები“.



მ დროს, ილია ჭავჭავაძე რუსეთიდან შინ რომ გამოემგზავრა, პეტერბურგ და ნ თბილისში ჩამოსვლას თვეს ან თვე-ნახევარს უნდებოდა, რადგან რკინიგზა ჯერ არ იყო. ილიამ მეორედ გამოიარა ეს გზა. პეტერბურგიდან ვლადიკავკავამდე როგორ იმგზავრა, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ „მგზავრის წერილებში“ მას აღწერილი აქვს გზა ვლადიკავკავიდან (ახლანდელი ორჯონიკიძიდან) თბილისამდე და ამიტომ ამ მოგზაურობის შესახებ ბევრი რამ ვიცით.

დილის ექვს საათზე ილია გამოსულა ვლადიკავკავის

ილია ჭავჭავაძე

• 150 •

სასტუმროს წინ, სადაც პირდაუბანელ და დაუვარცხნელ „იამშიკს“ ფოსტის „პოვოსკა“ მოუყენებია; მას თავისი ერთადერთი, ბოხჩისოდენა ტყავის ხურჯინი პოვოსკაში ჩაუგდია და თვითონაც ჩამჯდარა. პოვოსკა მის ჩაჯდომაზე შეტოკებულა, „იამშიკს“ სადავებში აუკრეფია, უჭმელობისაგან ცალეული და ყურებჩამოყრილი ცხენებისათვის „მწუო, მწუო, დაუნრუპუნია და შოლტი მოუღერია, მაგრამ ცხენებს ყურიც არ გაუბერტყავთ. „იამშიკს“ ცხენებისათვის თითო შოლტი კიდევ გადაუჭერია და პოვოსკა ადგილიდან დაძრულა. „დაწურულმა ზარმა დაიწყო თავისი უჭმური ყლარა-ყლური, პოვოსკამ ქვებზედ ხტომა და მე — ლაყლაყი ხან აქეთ, ხან იქითა“ — მოგვითხრობს ილია.

ვლადიკავკავიდან წამოსულ პოვოსკას თერგი გადაჰოყვლია. მაშინ, ვისაც რუსეთში ჰქონდა განათლება მიღებული, საქართველოში „თერგდალეულებს“ ეძახდნენ. ილია დიმილით ამბობს: „თერგის ხიდი ისე გადმოვიარე,


რომ არამც თუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხეულია, მეშინოდა, თერგდალეულობა არ დამწამონმეთქი“.

შუადღე ყოფილა, ილია ლარსის სადგურში რომ მოსულა.

ბავშვებო, აქ მოთავსებული ნახატზე თქვენ ხედავთ ლარსის სადგურს. ნახატი იმდროინდელ რუს მხატვარს, გაგარინს ეკუთვნის, იგი შესრულებულია ილიას პეტერბურგიდან გამომგზავრებამდე ოცი წლით ადრე, მაგრამ ოცი წლის შემდეგაც დაახლოებით ასეთი იქნებოდა.

ილია სადგურის ცარიელ ოთახში შესულა, ჩაის დალევა სდომებია და ერთი ფეხმოტეხილი სალდათისათვის — ლარსის სადგურის გუშაგისათვის, უთქვამს, სამოვარი დადგო, თვითონ ტახტზე წამოწოლილა და ფიქრს მისცემია.

საფიქრალი კი ბევრი ჰქონდა სამშობლოსაკენ მომავალ ილიას, რომელმაც ოთხი წელიწადი გაატარა რუსეთში და ეს ოთხი წელიწადი მთელ საუკუნედ ეჩვენებოდა. მან იცოდა, რომ ეს ოთხი წელიწადი რუსეთში ჭკუის სავარ-



ჯიშებლად წასული ქართველი კაცისათვის ცხოვრების საძირკველი უნდა ყოფილიყო.

— როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, — ფიქრობდა ილია, — რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე. ვუძღვებ, ისეთი სიტყვა ვუთხრა, რომ გულისტკივილი მოეურჩინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო?

ბევრი ფიქრა ილიამ და ბოლოს დაასკვნა, რომ შეიძლებოდა. შვილის სიტყვა მამულს მუდამ ესმის, მე შეიძლება ვარ ჩემი ქვეყნისა და ის ჩემს სიტყვასაც გაიგებსო.

ფიქრი ილიას შეანყევტინა ლარსის სადგურის გუშაგმა, რომელმაც სამოვარი შემოიტანა და მაგიდაზე დადგა. არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ კური გაიღო და ოთახში შემოვიდა ერთი სულელი ოფიცერი, რომელიც თურმე, მისთვის შეაქარი რომ არ მოეპარათ, საშაქრეში ბუზს ამწყვედევდა და ბუზი თუ იქ აღარ დახვდებოდა, იმით შეიტყობდა, რომ საშაქრიდან შეაქარი მოეპარათ.

იმ საღამოს ილია სტეფანწმინდაში ასულა.

ბავშვებო, ამ ლითოვრაფიაზე იმ სტეფანწმინდას ხედავთ, რომელსაც პეტერბურგიდან წამოსული ილია ნახავდა. თქვენ იქნებ იცით, რომ სტეფან-

წმინდაში დაიბადა და იქვეა დაკრძალული დიდი ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი. განა არ შეიძლება, რომ ილია სტეფანწმინდაში ყაზბეგების ოჯახის სტუმარიც ყოფილიყო?

საღამოსანს ილია ოთახიდან გამოსულა და სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებული მყინვარისათვის, ანუ ყაზბეგის მთისათვის შეუხედავს. „დიდებული რამ არის მყინვარიო, — გვეუბნება ილია, — აბა, მაგას შეუძლია სთქვას: ცა ქულადა მაქვს და დედამინა ქალამნადაო. ცისა ლაყვანარდზე მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევლად. ერთი მუჭის ოდენა ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალ შუბლსა, მის ყინვით შევერცხლილ თავსა“. მყინვარი ამ სურათზეც თეთრად მოჩანს.

მაგრამ ილიას არ ხიბლავს განზე გამდგარი მყინვარი. მეგრე რა, რომ დიდებულია! რაც ქვეყანაზე ხდება, იმას შუბლზე ძარღვსაც არ აუტოვებს, განზე გამდგარია, მიუკარებელი. ილიას თერგი ხიბლავს: თავხეხელაღებული, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონებელი. თერგი მოდის, მობლავის და გარემომოს აბლავლებს. თერგი ბრძოლაა, შფოთვაა; ის ადამიანთა ცხოვრების დუღილს ჰგავს. „ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა, პატარა ხანს დადევ, თუ მყარად გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცეცხლოს“. ილიას თერგის სირბილი და მოძრაობა ხიბლავს, რადგან მოძრაობა

წინსვლის ნიშანია, ჭაბუკი ილია კი წინსვლაზე და თავისი ქვეყნის მომავალზე ფიქრობდა.

დილით ილიას გაუგია, რომ თურმე მიმავალთათვის სადგურში ცხენები აკლდებოდათ; ურჩევით, ცხენი ექირავა და ფასანაურამდე ისე მისულიყო. მეორე დღეს ილია ასეც მოქცეულა. ერთი მოხვევე უნახავს — ლელთ ლუნია — და ცხენი იმისაგან უქირავია იმ პირობით, რომ მოხვევც ცხენით უნდა თან გაჰყოლოდა. მოხვევე ხანში შესული ბრგე კაცი ყოფილა, მთის პატარა ცხენზე მჯდარა, ცხენს თურმე სასაცილოდ მოაქუნებულვდა, თვალზე ბანჯგვლიანი ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული და ჩიბუხსაც განცხრომით აბოლებდა. ლელთ ლუნია სწორედ ის კაცი გამოდგა, რომელიც პირველად შეეყარა ილიას და მშობელი ქვეყნის გასაჭირი, გულისტკივილი, იმედი და უიმედობა სხვაზე ადრე

გაუზიარა.

ილიამ და მოხვევემ საუბრით კარგახანს იარეს.

ბარში ცხოვრება გირჩევნია თუ მთაშიო, — ეკითხება ილია მოხვევეს.

ბარი უფრო მდიდარია, მაგრამ შინც მთაში, ამ ღორღიან კლდეებში ცხოვრება მირჩევნია, კლდე ჯანმრთელია; კაცი, თუ გაუჭირდა, ბალახითაც გაძღება, სატკივარს კი არავერი ეშველებათ.

რომელი დრო სჯობდა, დღევანდელი თუ უწინდელიო, — ეკითხება ილია მოხვევეს.

მოხვევე უპასუხებს: ადრე ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდა, თავისუფლები ვიყავით; ერი ერობდა. ერთად ვიყავით, მტერს ერთად ვხედებოდით, გაჭირვებულს ერთად ვეხმარებოდით, სატირალს ერთად ვტიროდით, ახლა ერი დაეცა და წახდა, თემი დაიშალა.


ცარიელი მშვიდობა რად გვინდა, კუჭი ცარიელი

გვაქვსო. ცარიელი მშვიდობა მინამიც გვეყოფათ.

ილია დააფიქრა მოხვევის სიტყვებმა, რადგან მასაც სწორედ ეს საფიქრალი, ქვეყნის ახლანდელი სატკივარი ანუხებდა, და მოხვევემ ფიქრი დაუდასტურა.

ამ საუბრით ილია და მოხვევე ჯერ სოფელ სიონს, მერე — კობს გამოვიდნენ. იქ გზა თერგის ხეობას გვერდზე დასტოვებდა და ჯვრის უღელტეხილზე ავიდოდა. დათოვლილ

მრისხანე მთებს, აღრიალებულ თერგს, ნალვლიანსა და დიდებულ თერგის ხეობას ილია და მისი გამყოლი ლელთ ლუნია უკან მოიხრებდნენ; გზა სამხრეთისაკენ გაეშურებოდა და თვალწინ გადაიშლებოდა ამწვანებული არაგვის ხეობა. ილია ღამის გასათევად არაგვის პირას, სოფელ ქვეშეთში გაჩერდებოდა, მერე ჩამოვიდოდა ფასანაურში, გამოვილიდა ანანურს, ჟინვალს, დუშეთს..



წოდარ ფულინისკრი



მურიკელამ ძმები ღინხმარა

ფისუნები ფი და პი სილაში კოტრიალობდნენ. უცებ საიდანღაც მოვარდა მურიკელა, ფის დაეძგერა და უმალ ფეხქვეშ მოიგდო.

— აჰ, აჰ, ხომ დაგიჭირე, ახლა გიჩვენებ სიერს. რატომ ჩამცხე უმიზეზოდ თათი დრუნწში, ღრრრრ!.. — იღრინებოდა მურიკელა, მაგრამ ვერ კბენდა და ეს უფრო აბრაზებდა — მარჯვედ იცავდა თავს ფი, თათებიდან ბრჭყალები გამოეყო და როგორც კი ლეკვი საკბენად წაეტანებოდა, თვალეზსა და დრუნწს უპირიყვნიდა.

მურიკელას თავი გვერდზე მიედრია, თითქოს სხვას უყევდა და უღრენდა. ის კი არა, ლამის მიეტოვებინა და გაქცეულიყო, ისე ეშინოდა ფის ნემსებივით ბრჭყალებისა. მაგრამ სიმართლე თუ გინდათ, რცხვენოდა გაქცევის...

როცა მურიკელა ფის დაეძგერა, პი შიშისაგან ხეზე ავარდა და იქიდან უმზერდა მოჩხუბრებს. მერე გაიფიქრა, „ჩემი დაიკო განსაცდელშიაო“, ისკუპა ხიდან და მურიკელას თავზე დაახტა. ლეკვი სილაში გავიდა და წკავენკავი ატეხა, — მოულოდნელ თავდასმას არ მოელოდა.

— ორნი ერთზე მოდინართ ხომ! — ძალის ენაზე გაჰკიოდა მურიკელა, — აჰ, აჰ! ორნი ერთზე ხომ!.. — წკმუტუნ-წკავენკავით მიდიოდა საძაღლისაკენ კუდამოძუებული, თან უკან-უკან იყურებოდა.

ფი და პი ხეზე ავარდნილიყვინენ და ძირს იყურებოდნენ კატის თვალბით.

— დამაჯათ, მე თქვენ გიჩვენებთ, აჰჰ, აჰჰ! — გაისმოდა ეზოში მურიკელას წკავენკავი.

ფი და პი ჯერ ისევ ხის ტოტზე ისხდნენ, რომ ეზოში კვლავ გამოჩნდა მურიკელა, თან თავისი ძმები მოჰყავდა: შვიდი ბოხვერა ლეკვი, და იმ ხეს უჩვენებდა, სადაც ფი და პი შეუჭულიყვინენ.

ლეკვები ხეს რკალად შემოეწყვინენ და ყველა ატეხეს. ფი და პი ზემოდან აჯვარებდნენ ლეკვებს, თან მალდა და მალდა მიიწვენდნენ. მზე ჩავიდა, ისინი კი ძირს ჩასვლას არ აპირებდნენ. რა ექნა მურიკელას! — ღამის ხის ძირას ხომ არ გაათევდნენ. მშვენიერ გაუძღვა და საძაღლში დაბრუნდნენ.

როგორც კი ლეკვები თვალს მიეფარნენ, ფი და პი უმალ ჩამოცვივდნენ ხიდან და შინისაკენ მოკურცხლეს.

მურიკელა ხეზე ასვლას სწავლობს

— ოსოებმა ფიმ და პიმ როგორ უნდა მაჯგონო; ხეზე ასვლა უნდა ვისწავლოო, — თქვა მურიკელამ და ყეფა-ყეფით გაემართა ეზოში მდგარი ბულისაკენ. მიადგა ხეს, ახედა, გარს შემოუარა, აეტოტა... გაკვირვებული ქათმები, ინდაურები, წინილები გარს შემოეჯარნენ, რას სჩადის ეს ლეკვი, ვინ გაიგონა, ძაღლის მოდგმა ხეზე გასულიყო.

— მე გავალ! — იჩემებდა მურიკელა, — ფის და პის ჯინაზე გავალ!

ხის ტანს წინა თათების ბრჭყალებით მოეჭიდა, უკანა ფეხებიც მიაშველა და აცოტება სცადა, მაგრამ უმალ მოწყდა; ძირს ზღრთანს მოადგნდა, რომ ძაღლი არ ყოფილიყო; იმარდა და ყირამალა წამოსული მაინც ფეხებზე დახტა.

გაოცდა, ფისოები მარჯვედ, ჭინკებივით

დახტიან ხის ტოტებზე, მე რა მომივიდაო. შუელრინა ხეს და შეუყვავა: ვითომ, შენი ბრაღია, რომ ვერ ავდივარო.

მთელი დღე ასტებოდა მურიკელა ხეს, ატოტებულნი, წინა თათებით ამოდ უფხოქწინდა ქერქს, რასაკვირველია, ფეხს ვერ იკიდებდა ხის ტანზე და ძირს ვარდებოდა. ბოლოს მოხდა სასწაული. ბებერ ბჟოლას შეებრაღა ლეკვი, ქედი გადაიდრიკა, გადაიზნიქა და ბოგირივით განვა ჰაერში. მურიკელამ ყოყინა დასცა: ახლა ნახეთ, ხეზე როგორ ავიდეთო, მართლაც, გადაფერდილ ხის ტანს ადვილად აპყვა, მაგრამ... შუამდე არ იყო მისული, წკვეწკავი ატეხა: მიშველეთო. ხე, მართალია, გადაფერდილი იყო, მაგრამ თანდათან მალდებოდა. მთლად წწორი, მართლაც ბოგირივით გადავიდებულნი კი არ იყო. მურიკელამ, რაღა თქმა უნდა, კატასავით ვერ მოსჭიდა თათები ხის ტანს და ყირამალა წამოვიდა ძირს. საკმაოდ მალლა ასულიყო, ამიტომ ვეღარ იმარდა, თავგზა აებნა და წწორედ რომ ზღართანნი მოადინა. კვილკვილით გავარდა საძალისაკენ. ბებერმა ბჟოლამ კი მიაძახა, არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო.

ქალბატონი ფიჭვისო

მურიკელამ და მისმა ძმებმა მალე მთელი ეზო დიპყრეს. გაიზარდნენ ლეკვები. თუ მანამდე მარტო მურიკელა ბედავდა და გამოდიოდა გარეთ, ახლა ყველანი, უკლებლივ, დილაუთენია გამობაჯბაჯდებოდნენ ეზოში და ფისა და პის მოსვენებას არ აძლევდნენ, მინაზე ფეხს არ ადგმევინებდნენ. კნუტები მთელი დღე ჩიტებივით ხის ტოტებზე ესკუპნენ.

ფისუნებმა დედას — ქალბატონ ფიჭვისოსოს შესჩივლეს, ლეკვები თავხედურად გვექცევიანო. ფიჭვისო აღშფოთდა და ვეფხვის მიხვრა-მოხვრით, განგაშის კნავილით საძალისაკენ გაემართა, ლეკვების დედას, ქალბატონ ავმყეფარს უხსმობდა სათათბიროდ. ავმყეფარი შინ არ ბრძანდებოდა და საძალის კარს ლეკვები მოეჯარნენ.

— სად არის დედათქვენი! — მრისხანედ გაკვესა თვალები ფიჭვისომ.

— სანადიროდ წავიდა, — მიუგეს ლეკვებმა გულის კანკალით.

ფიჭვისომ კუდი მალლა შემართა დროშასავით, საძალის წინ კნავილ-კნავილით გაიარ-გამოიარა და ლეკვებს დამრიგებლის კილოთი უთხრა:

— ლეკვებო, როგორ ბედავთ ჩემი კნუტების დანოკებას. მე და დედათქვენი, ავმყეფა-

რი, არასდროს ნავჩხებებულვართ!.. სხვა ძალღებსა და კატებს კი არ გვაკართ, ერთმანეთს სიცოცხლეს რომ უშნარებენ. ახლავე შერიგდით! ფი, სადა ხარ! — დაუძახა შვილს ფიჭვისომ, — მურიკელა რომელი ხართ? — ჰკითხა ლეკვებს.

მურიკელა ლეკვებს შორის აძებრა-გამოდევრა და წინ წარსდგა. კოდი აქიციინებდა და გრძელუღვაშა შავ კატას შეშინებული შეყურებდა.

— გაუნოდეთ ერთმანეთს თათები! — ბრძანა ფიჭვისომ.

პატარებმა ერთმანეთს თათები გაუნოდეს. — შერიგებულები ხართ. ამიერიდან უმიზეზოდ არ იჩხუბოთ! — დაუბარა პანებს და წავიდა.



ნახტარი ბესო ხიდაშული

წერს ბატონი შვილი

შეაღწიე ნიბი

ამ ზაფხულის ჩიტუნას თავს ვეულებოდი თითქმის და, მზერამ მას ჩემი ამბები თურმე ბუბოსთვის მიჰქონდა. ლარსაკს გავტყნდი, — ეტყობა, ვიცვლქებდი და — ეტყობა, მე ძლიერ მიყვარს, იმას კი სულ არ ვუყვარვარ, ეტყობა. ამ დღით, თავად შევინძნე, სასლთან რომ ხე დავას მიაღალი, იქედან ბუბოს ამბები ჩაუჭიკჭიკა ახალი. რა ვუთხრა, რა მიფურხნოს, ჩიტუნას დამასწორებინას, ადარ ვიცვლქებ და მამის რაღას უამბობს ბუბოს?



წელი დარასაველიმ

ბუბუნა ქარი

ეს ზუზუნო, ეს ბუზღუნო შხმე შეტრისპურტა, თვალუბო მიტყუნს რატომ მკურნი, ქართ, მარსხურტაუ? რომ ვიცვლქე ის გუნსული, სადაც შენ იმალები, დატყნე და... სიღით უნდა ამოვიყვანო თვალუბო.

წერს მამაკობი

საქმიანი ვიზონა

ზაფხულის თათული შრომაშია ვართული... ხან თოჯინას აძინებს, სატყელს მშა-მხას უტოვებს. ხან უგებოდა ბუბოს რბილ-რბილ ვაშლებს

ხან რეცხავს და ხან სკრობავს. ხან მიტყრის, ხან მოკლავს, საქართველას ეწრდება საქმიანი ვიზონა.



მამაკობა თანიაშვილი

ველა და ბაპარი

არა სწეინდება მთელი დღე ზატარა გულის თამაში, თვალს მოგაჭეჭეტენ ორები, როცა მის დღიურს გავაშლი. ერთსხელად ბაქარს ეწვია და მეტრისმეტად გაკვირდა, თვლი მოსტაცა ხუთთხნის კოხტა საწერმა მავიადამ. თავის ადგილას ველად წიენიც, რვეულიც, ფანქარიც და გაკვეთილებს ბუჯითად ჩაჭკირვტიტება ბაქარი. სასწავლო ცხრილიც კვდელზე ჩამოვიდა საჩინოდ და მიხვდა გულა — სწავლისთვის რომ რველია საჭირო.

მართლად მთავარი

იმა თქვა

იამ თქვა: როგორ დათბა, სითბო გულებზე ატანს! უჭრი რომ მოტყვრა ნათქვამს, კვირტი გავსკდა — ბარამ.

აღწერილი დიდიმთავრული

ლაპე

ყოველ დღით ადრე, როს მზე იწყებს კაპკაშს, სკოლისაკენ მარდად მიიქარის ლაპე. არ აკლია ბარჯა, არ აკლია ნიჭი, არ აკლია ფრადებთ შინ ბრუნდება ბიჭი.





ბიორბი პაპაუაშვილი

ორპირი

დგდა და მამა სამსახურში წავიდნენ. ბე-
ბიამ ინდაური ილიაში ამოიჩარა და სად-
ლაც წაიყვანა.

— მე და შენლა დავრჩით, ჩემო ვაჟკაცო, —
უთხრა შიო პაპამ პატარა გიას; — ჩვენ კი-
დეუ ვენახში წავიდეთ!

— წავიდეთ, პაპა!

შიო პაპამ ნიჩაბი და ბარი გაიღო მხარზე
და ჭიშკარში გავიდნენ.

ხიდი გაიარეს, მერე მარცხნივ აუხვიეს და
ბუჩქ-ხეხილიან და ეკალ-ბარდიან ორღობეს
შეუდგნენ. ბუჩქებში შაშვმა შეიფრთხილა.
გია შაშვისაკენ გაიქცა. შაშვმა ხმამალა
დაიჭახჭახა და გაფრინდა.

— ჩემს ბალობაში მე დავედვი აქ შაშ-
ვებს, მერე — მამაშენი და ეხლა კიდევ შენ
დასდევ. აი, როგორია წუთისოფლის კანონი.
არც შაშვები ილევთან და არც ბავშვები. ამ
ორღობეში მუდამ უივჟივი და მხიარულებაა.

— ის შაშვი ამ შაშვის პაპა იყო? — შემო-
ბრუნდა გია პაპასაკენ.

— რომელი?

— შენ რომ დასდევდი!

— ჰო, — გაელიმა შიო პაპას, — მე რომ
ის შაშვი მომეკლა, ახლა ეგ შაშვი აღარ იქ-
ნებოდა.

— მამაჩემი რომ დასდევდა, ის შაშვი ვინ
იყო?

— მამაშენი რომ დასდევდა, ის შაშვი მაგ
შაშვის მამა იყო, მაშა. აი, როგორც ჩვენა
ვართ პაპა, შვილი და შვილიშვილი, ისე ეგ
შაშვები იყვნენ.

პაპამ წნული კარი შეაღო და ვენახში
შევიდნენ.

— ცეცხლი ხომ არ დავანთოთ? — იკითხა
შიო პაპამ.

— დავანთოთ, პაპავ, — გიას ძალიან უყ-
ვარს, პაპა რომ ცეცხლს დანთებს ხოლმე.
თანაც მაშინ ცოტა ციოდა და ცეცხლის ხსე-
ნება როგორ არ გაუხარდებოდა?

პაპამ ხმელი წალამი მოიტანა, ზედ კუნძ-
მანძები დაალაგა და ცეცხლი შეუთო. მერე
იმ ცეცხლთან ერთი მოზრდილი კუნძი დააგ-
დო, კუნძს თავისი წინსაფარი გადააფარა და
ზედ დაჯექიო, გიას უთხრა, თან ცეცხლთან
გათბი და თან მიყურე, რასაც გავაკეთებო.

შიო პაპამ ბარვა დაიწყო. მაგას რა ყურება
უნდოდა, მაგრამ ხახვის კვლის სიგანე რომ
ჩაბარა, ნიჩაბი აიღო და ნაბარს გადაყრა და-
უნყო.

— დაბარულს რატომ ჰყრი, პაპავ?

— მიყურე და გაიგებ.



— ააა, ვიცი, არხსა თხრი.
შოი პაპამ ნაბარი რომ გულდასმით ახვე-
ტა, გადახვეტილ ადგილს ისევ ბარვა და-
უნყო.

— რად აამალღე, პაპავ, გორა უნდა გაა-
კეთო?

— ორპირსა ვბარავ, შვილო.

— ორიპირი რა არის?

— აი, ერთი პირი რომ დავებარე და გადავ-
ყარე, ახლა მეორე პირსა ვბარავ, და ზემოდან
გადავყარო.

— რადა, პაპავ?

— იმიტომ, რომ ღრმად დაიბაროს და ვაზ-
მა კარგად გაიხაროს. თანაც მინის ზედაპირი
დადლილია და ქვეშ მოექცევა, ქვედა პირი
კი დასველებულია და ზემოდან მოვაქცევ,
რომ ახლა ის ვამუშავოთ.

— დადლილი რად არის?

— დადლილი იმიტომ არის, რომ ათას რა-
მესა ვთესავთ ზემოდან. ხომ გახსოვს, რამ-
დენი სიმინდი მოვამტვრიეთ შემოდგომაზე.
ის სიმინდი სულ მინის ზედაპირმა მოგვცა,
ქვეშა პირი კი იმ დროს ისვენებდა. ესხა
იმან იმუშაოს და ამან კიდევ დაისვენოს.

— იმაღებოდა? — კისერი მხრებში ჩაიძე-
რინა გიამ.

— იმაღებოდა, მაშა. როგორც ახლა შენ
იმაღები და მე ვმუშავებ. როცა ძალიან დავ-
ბერდები და დავიღლები, ახლა მე დავიმაღე-
ბი და შენ იმუშავებ. მეც აი, ესე, მინის ქვეშ
დავიმაღები. მართალია, იქიდანაც დავგებმა-
რები, მაგრამ მაინც შენ მოგიხდება მუშავობა.

— როცა დიდი გავიზრდები, მეც უნდა და-
ვებარო ორნაპირი.

— ორნაპირი კი არა, ორპირი, შვილო.

— შოდა, მეც უნდა დავებარო ორპირი.

— ორპირის დაბარვა არ დაჭკირდება. იე-
თი ტრაქტორები დაგრუხუნებენ, რომ შენს
სიმაღლეზე ხნავენ, პლანტაჟს ეძახიან იმ ნა-
ხნავს. მამაჩემი და პაპაჩემი დაღალა ორპი-
რის ბარვამ, თორემ ჩვენ რა გვიშავს. ძია
ნოეს ტრაქტორი დღემი რამდენიმე ჰექტარ
სავენახეს „აპლანტაჟებს“.

— რატომ ჩვენც ძია ნოეს ტრაქტორი არ
მოვიყვანეთ?

— მარტო ორი საყენია გამოსაბარი და
ტრაქტორი აქ ვერ შემოვა. ეს რა არის, ორ
დილას გამოვებარავთ მე და შენ!

გიას გაუხარდა, ისიც რომ საქმეში გაიყვა-
ნა პაპამ. ორ დილას გამოვებარავთო, მაშა!

სალამოთი ყველას ახარა გიამ, ვენახში ვი-
ყავით და ორპირი დავებარეთო. პაპამ თქვა,
ორპირს ტრაქტორითაც ხნავენ და პანტაჟს
ეძახიანო.

— პანტაჟს კი არა პლანტაჟს? — გაუღიმა
მამილომ.



— შო, პლანტაჟს ეძახიანო, მაგრამ ტრაქ-
ტორი აქ ვერ შემოვაო. მარტო ორი საყენია
გამოსაბარი და ორ დილას გამოვებარავთ მე
და შენო.
გიას დაბარავც ყველა იციანოდა. უხარო-
დათ, ასეთი ჭკვიანი ბიჭი რომ ჰყავდათ და
ერთ დღეში რომ ამდენი რამე ისწავლა.

ლელია ზახალიძე

დედაჩინა დიდია!

ოქროსგულა კვირილას
 აუხირდა გაუანო—
 ცოტა იქით გაიწი,
 ღამის ფესვით დამსხრნი!
 — მე არსდაც არ წავალ,
 კიძრისთვალა უძაწვილო!
 არც სარ ჩემზე ღამისი
 და არც ჩემზე საჭირო.
 რად ინდომე, გეთაყვა,
 ველ-მინდვრებზე მეფობა?
 დედამიწა დიდია,
 ჩვენ, ორივეს კვეთოვა!



აზა ზახალიძე

ჩემი კვიცი

გაიზრდება მჯობნისმჯობნი,
 აღარ უნდა ფიცია,
 სულ ცეცხლს აფრქვევს
 თვალუბიდან,
 ჩემი შავრა კვიცი.
 გუშინ ინოდრომზე შეაუღა,
 ცხენთა რბოლა ნახა;
 გათამამდა, უფრო მარდი
 მეჩვენება ახლა!
 რაც მოხდება სავაისთა,
 წინასწარვე ვიცია:
 ჩვენ ავიღებთ ჰირველ ჯილდოს,
 მე და ჩემი კვიცი!

მხატვარი ლალი ლომთაძე





პატარა კალმახი

პატარა მდინარეა კალმახურა. მთიდან მო-
შუსის და კისრისტებით ეშვება ქვევით. კალ-
მახურა ალბათ იმიტომ დაარქვეს, რომ მის
წყალში აუარებელი შავხალებიანი და წი-
თელხალებიანი კალმახია. ისინი მდინარის
ფსკერზე ცხოვრობენ, იქ, სადაც ფსკერი
მწვანე ხავსით არის დაფარული. როცა ხეო-
ბაში შხააუნა წვიმა წამოვა, ისედაც შფო-
თიანი კალმახურა სულ გადიირევა ხოლმე,
ადიდდება, აზვირთდება და ნაპირებს ასკდე-
ბა. ამ დროს კალმახები თავის ჯილესაკენ
მიეშურებიან. ამ პატარა მდინარეში კალმა-
ხების რამდენიმე ქარავანია. ისინი ერთმა-
ნეთს ცურვავი ეფიბრებიან ხოლმე. მთელ
საკალმახეთშია განთქმული შავხალებიანი
მოხუცი კალმახის ქარავანი. მუდამ ამ ქა-
რავანის ახალგაზრდა კალმახები გამოდიან
ჯირითში გამარჯვებულნი.

ერთხელ მოხუცი კალმახის ქარავნიდან
პატარა შავხალებიანი კალმახი და მისი მე-
გობარი, წითელხალებიანი კალმახი გამოვი-
დნენ და საკმაოდ შორს გასცურეს. ამ დროს
წვიმამ დაუშვა და პატარები თავის ქარავნი-
საკენ გამოეშურნენ. წითელხალებიანმა წყა-
ლში ჭიკაყელა შენიშნა, რომელსაც ტალღები
აქეთ-იქით არხევდა. მოეწონა და ძალიან მო-
უნდა, ამ გემრიელ სასუსნავს წახვდომოდა.
რა იცოდა, რომ წყალში მაცდურად მოლივ-
ლივე ჭიკაყელა თევზების მისატყუებლად იყო
ანკესზე გამომბული. შავხალებიანმა პატარა
კალმახმა იგრძნო საფრთხის მოახლოება და
მეგობარს ურჩია, თავი გაენებებინა ჭიკაყე-
ლასათვის. მაგრამ წითელხალებიანმა ყური
არ ათხოვა მეგობრის რჩევას, მარადე გაცუ-
რა ჭიკაყელასკენ, სწრაფი მოძრაობით მიუახ-
ლოვდა და გადასახსლა... შავხალებიანმა პა-
ტარა კალმახმა კარგად დაინახა, რა სიძლიერე
თი აიტყორცნა ანკესი ზევით. იმ ადგილას
კი, სადაც ორიოდ წუთის წინ მისი მეგობარ
წითელხალებიანი კალმახი იყო, ახლა ამ-
ღვრეული წყალია დარჩა. შეწუხებული
შავხალემა მდინარის ნაპირთან მიცურდა,
დაინახა თევზებით სავსე ნაყი, რომელშიც
სხვა თევზებთან ერთად ალბათ მისი მეგობარ
წითელხალებიანი კალმახიც ეგდო, და
სლიპინა სახეზე ცრემლები ჩამოუგორდა.
ძლიერდობით შებრუნდა და უმიზნოდ გა-
ნაგრძო ცურვა. იცოდა, რომ ქარავანში ვერ
დაბრუნდებოდა. შავხალებიან მოხუც კალ-
მახს მკაცრი წესები ჰქონდა შემოღებული.
მისი ქარავნიდან სასეირნოდ მუდამ ორ-ორი



თევზი გადიოდა, და თუ ერთ-ერთი დაიკარ-
გებოდა, მეორეს ქარავანში დაბრუნების
უფლება აღარა ჰქონდა. აქაფებულ მდინარე-
ში დარეგულირებული დაცურავდა სასონარ-
კვეთილო, ძალაგამოლეული, მდინარის დი-
ნებას მინდობილი შავხალემა. ტალღა ხან
მორევში ატრიალებდა, ხან აქეთ-იქით ახლი-
და, მერე კი სწრაფად გაიტაცა ნაპირისაკენ
და დიდ ლოდს შეატყორცნა. თვალთ დაუბ-
ნელდა შავხალემა, თითქოს მთელი საკალ-
მახეთი უკულმა დატრიალდა მის წინ. პირი-
დან ამოსხმულმა სისხლმა თეთრი ლოდი
წითლად შეღება. სიმწრის ცრემლები გადმო-
სცვივდა. ტიროდა პატარა კალმახი. ელანდე-
ბოდა წყალში მოლივლივე ჭიკაყელა და თავი-
სი მსუნავი მეგობარი — წითელხალებიანი
კალმახი. მალე ლაყუნების მოძრაობაც შეწ-
ყვითა. აზვირთებულმა ტალღებმა ხმაურით
გაიტაცეს იგი მორევისაკენ და მის სიღრმეში
გადატყორცნეს. მდინარის ზედაპირზე კი
ისევ ისე წკაპუნობდა წვიმა.



ლანა იორღანოვა

ცხოვრობდნენ ქვეყნად ქლორი და ნატრიუმი. ქლორი ისეთი ბუნებისა იყო, ყველაფერს წამლაგდა: წამლაგდა მცენარეებს, რომლებსაც ეხებოდა, და ისინი კვდებოდნენ; წამლაგდა ცხოველებს, და ისინიც იხოცებოდნენ; წამლაგდა ადამიანებსაც... განზრახ აკეთებდა ქლორი ამას თუ არა, არავინ იცოდა, მაგრამ არავის არ უყვარდა იგი.

ნატრიუმი კი, რასაც მიეკარებოდა, ყველაფერს ჭამდა. ამიტომ არც ის უყვარდა ვინმეს. ამ საერთო სიძულვილის გარდა იყო კიდევ რაღაც, რითაც ორივენი ერთმანეთს შკავდნენ: ორივეს სურდა, ვინმეს ყვარებოდა, უნდოდათ მარტო არ ყოფილიყვნენ ქვე-

ყნად, ერთი მეგობარი მაინც ჰყოლოდათ. ვინაა ეს? დევი რა უნდა მეთქვა მათზე?! ჰო, გამახსენდება. ისინი ერთმანეთისაგან შორს ცხოვრობდნენ და ერთმანეთს არ იცნობდნენ. მაგრამ რადგან ორივენი ბოროტები იყვნენ, რატომღაც ერთდროულად გადაწყვიტეს, წასულიყვნენ ბოროტ ჯადოქართან და მისთვის ეკითხათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ჯადოქართან პირველად ქლორი გამოცხადდა, თავაზიანად მიესალმა და მისვლის მიზეზი აუხსნა. ჯადოქარმა მოუსმინა და უთხრა:

— მე შემიძლია დაგეხმარო და გაგაძლიერო, თუ მარტო დარჩები, მაგრამ, თუ მეგობარი გინდა გაყვდე, — წაღიო.

შენუხდა ქლორი, წავიდა, მაგრამ ლოდივით დაანვა გულზე დარდი.

ცოტა ხანში ნატრიუმი მიადგა ბოროტ ჯადოქარს. მასაც იგივე უთხრა ჯადოქარმა:

— თუ მარტოდ ყოფნა გინდა, მაშინ დაგეხმარები, რომ კიდევ უფრო ძლიერი გახდე. თუ მარტოობა არ გსურს, წაღიო.

წავიდა ნატრიუმიც. გული კი იგი ეწვის, თითქოს შიგ ვულკანური ლავა უდუღდეს.

შემდეგ, როგორ მოხდა, არ ვიცი, მაგრამ ქლორიც და ნატრიუმიც ისევ ერთდროულად მიხვდნენ, რომ თუ ბოროტმა ჯადოქარმა ვერ შეძლო მათი შველა, კეთილ ჯადოქართან უნდა ეცადათ ბედი. პირველად ნატრიუმი წავიდა. გულზე ისევ ცრცხლი ეკიდა და ისე ეწოდა, რომ როდესაც კეთილ ჯადოქარს მიადგა თავისი ნატრის გასამხელად, ენა ძლივს მოაბრუნა.

— მოიცადე, — უთხრა მას კეთილმა ჯადოქარმა, — აგერ ქლორი მოდის ჩემთან სტუმრად. უნდა გააცნო. დაგამეგობრებთ. — როგორია ქლორი? რის გაკეთება შეუძლია?

— მას შეუძლია მონამლოს ყველაფერი, რასაც გვერდით ჩაუვლის.

— ჩემი მონამულაც უნდა?

— არა, მე დაგამეგობრებთ და ყოველთვის ერთად იქნებით.

— ჯადოქარო, — შეებასუხა ნატრიუმი, — ხალხს, მცენარეებსა და ცხოველებს ხომ კიდევ უფრო შევძულდები, თუ ბოროტი მეგობარი მეყოლა.

— შენ აქამდე არავისთან გიმეგობრია და არ იცი, რომ მეგობრობა ყველას აკეთილშობილებს.

ამ დროს, ქლორიც შემოვიდა. გული ისე სტკიოდა. თვალებიდან ცრემლი სცვიოდა. შორიდანვე დაიწყო:

— მიშველე, კეთილო ჯადოქარო! აღარ მინდა საძულველი ვიყო.



მხატვარი ელზარ ამოკაძე

— აი შენი მეგობარი, — და ჯადოქარმა ნატრიუმი წარუდგინა, — მეგობრობა გაუწიეთ ერთმანეთს — ნამდვილი, უღალატო, ყველგან და ყოველთვის გაუნოდეთ ერთმანეთს ხელი და მხარში ამოუდევით ერთიმეორეს.

და მოხდა სასწაული: დაიწყეს თუ არა მეგობრობა ქლორმა და ნატრიუმმა, სრულიად გარდაიქმნენ. მათ მეგობრობას ზოგმა ნატრიუმის ქლორი დაარქვა — ეს ისინი იყვნენ, ვინც იმთავითვე იცოდა, რომელი იყო ქლორი და რომელი — ნატრიუმი. დანარჩენები კი, მოკლედ, მარილს უწოდებდნენ. დღე-

საც ასე ჰქვია მათს მეგობრობას. მარილი მეგობრობის საზომად იქცა. ხალხი ამბობს, ნამდვილ მეგობრებს ერთი ფული მარილი უნდა ჰქონდეთ ერთად ნაჭამიო.

და თუ დღეს ადამიანები უმარილოდ არაფერს ჭამენ, ეს იმიტომ, რომ ყველა მათგანი ოცნებობს ისეთ მეგობრობაზე, რომელიც დაეხმარება მათ გახდნენ უფრო კეთილნი, უფრო საყვარელი და უფრო საჭირონი, როგორც ეს მოხდა ქლორისა და ნატრიუმის დამეგობრებისას.

ბულგარულიდან თარგმანა მისხეილ მკურღინასა

18469

ნანა საბანაძე

წვია

დაიქუხა, დაიჭკუა,
წამოვიდა წვიმის ღვარი,
ცუკრუმელა, მივია წვეთებს
დღე დაუღვათ გასასარი.
წკაპუნობენ აივანზე,
სახეს ბანენ წითელ მისხაკს,
პატარებო, მოუსმინეთ
წვიმისა და ცის მუსიკას!



ალექსანდრა დიდიბაჟვილი

მათეს ბიჭი

მიგუგუნებს ტრაქტორი,
შენ ხარ ჩემი პატონი,
ბზინავს მიწა საუანე,
ხნულში თესლი ჩაყარეს...
— ნეტავ, საჭეს ვინ უხის?
— ვინ და... ბიჭი ფირუხი,
ოსტატია ხვან-თესვისი,
შვილი გახლავთ მათესი.

მხატვარი ლალი ლომთაძე



ალმესანდრა არაბული

მიწნაჲ მაჩვი

გასულ ზაფხულს ხევსურეთის ერთ-ერთ სოფელში — რომკაში გახლდით. ეს სოფელი სხვა სოფლებისაგან იმით განსხვავდება, რომ სახლები ვულკანური რიყის უზარმაზარ ლოდებს შორისაა ჩაშენებული. ზოგან საძირკველად და კედლად თვით ლოდია გამოყენებული. შორიდან შეხედვით ისე მოჩანს, თითქოს ბროლივით თეთრი მდინარე რომკულაც აქ, ამ ლოდებში იზადება. ამ უზარმაზარი ლოდების ქვეშ აფარებენ თავს დათვი, მაჩვი, კვერნა, მელა, ნავი, დედოფალა, კატა, ფოცხვერი, კურდღელი, მღრღნელები და ქვეწარმავლები.

ჩემმა მასპინძელმა მისვლისთანავე შემომ-

ჩივლა: ჩემს საქათმეს რომელიღაც მტაცებელი შემოეჩვია, ჯერ საბუდრები დანგრია და კვერცხები ერთიანად გადასანსლა, შემდეგ ქათმებს მიჰყო პირი და გამოზოგილად ყოველდღე თითო-თითოს მიირთმევდა. იცამდე დედალი ისე შემიჭამა, მის ასავალ-დასავალს ვერ მივაგენი. საფანგებიც დავაგე, თოფითაც დაუფარაჯდი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ჩემებს რომ მოჩნა, მეზობლის საქათმეში გადაინაცვლა. ეტყობა ადამიანის სამყოფს არ ერიდება. იქნებ მოგვეხმარო, იმ ცხოველისა იცოდე რამე, ჩვენ საქათმეში ბუმბულის მეტს ვერაფერს გაჩვენებთ. ეგ არის, ერთადგილას მხოლოდ განავალს ტოვებს, სხვა ნიშანს — არაფერს, ის წყეულიო.

ჩემთვის ეს ნიშნებიც საკმარისი იყო. მივხედი, ლოდებსა და ქვა-ლორღში თავშესაფარი მაჩვს უნდა ჰქონოდა. მაღე მაჩვის მთელი საპირფარეშო და საკუჭნაო ვნახეთ, აქედან ვარაუდით ბილიკს გავყევით და სახლის ახლოს, ერთ პატარა მტკვრებულ ქოხში მაჩვის „ბინა“ აღმოვაჩინეთ. „მასპინძელს“ ისე ღრმად ეძინა, რომ ვერც ჩვენი სმაური გაიგონა და ვერც კარის გაღება. ვინემ არ ვუყვირეთ, არ განძირულა; გაღვიძებული კი სწრაფად წამოხტა, პირდაპირ კარისაკენ გამოვარდა, ფეხებშუა გავვიძვრა და ტყისკენ ძუნძულით დაეშვა. საინტერესოა, მოისურვებს თუ არა ეს მაჩვი თავის „სახლში“ დაბრუნებას. ამაზე დაკვირვება რომეკელი ბავშვებისათვის მიგვიწვდია. ჩვენ კი ამ შემთხვევამ დაგვარწმუნა, რომ მაჩვი ყველაზე ღრმად და კარგად მოწყობილ დერეფნებიან სოროს თურმე იმიტომ იკეთებს, თანაც სუფთად იცავს (საკუჭნაო და საპირფარეშო გარეთა აქვს), რომ ასეთი მშვიდი და ღრმა ძილი იცის.



ქურკასტი კალაბი

უკლავ

ზოთა ამირანაშვილი

ის რიცხვი ორზე მეტია,
მაგრამ ოთხზე კი ნაკლები,
სიტყვიდან უკანასკნელი
ასთა გამოსაკლები.
გარჯის მეორე სახელის
თქმაც როდი გაგიჭირდება,
იგი კიდური მარცვლით და
შუა თანხმოებით მცირდება.
თან დასასრულის სხვა სახელს
ღაურთავ ბოლო ნაწილად,
და რიგით პირველ ხმოვანსაც
ჩამოაცილებ ადვილად.
უმაღ მიხვდება, ცხადია,
დაკვირვებული ვინც არი:
ის ჩვენი წმინდა ხატია,
მარადეამს დასაფიცარი.

გაშუქანა

მიხეილ ხარბთნაშვილი

წინ უმღვის წვიმას, ქარიშხლას
ხმაურითა და შუქარით.
ელვის შოლტით სცემს გარემოს
ბრახინი და შუქსარი...
რომელ ხესაც კი დაეცა,
ანათო, როგორც ბუხარი.



საქართველოს ალექ ცკ-ისა და
ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერ-
თა ორგანიზაციის რესპუბლიკურ-
თი საბჭოს შურხალი უმცროს-
კლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
მწვერ ნიშბარძი

სარედაქციო კოლეგია: მდურად ამბო-
პაძე, მხანას ანთაძე, ლაზარა ბა-
ბუა, მირი დავითაშვილი, სოლო-
მონ დემურხანაშვილი, ლილია
მარაძე, ვილა ლოსაძერიძე, მასპალა
მრავლიშვილი, ჯურაბა ნაღრიძე,
პირობი როინიშვილი (სამხატვრო
რედაქტორი), თინათი ნალაური (პ/შ,
მღვინი), პიპი მნელაძე, პიპი მიმი-
ნაძე, მარინა ხარბთიშვილი.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის,
სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ-
თ. რედაქტორის 98-41-30, 98-08-16;
პ/შ, მღვინის 98-10-32, 98-08-18; საშხ.
რედაქტორის — 98-08-18; განყოფილე-
ბების: 98-08-19; 98-08-17.
გადამცემა ასაწუხად 8. 01. 87 წ., ხელ-
მოწერილია დასაბედად 8. 02. 87 წ.,
ქალაქის ზომა 60x90¹/₂, ფი. ნახ.
ფურც. 2,6. ტირაჟი 168.000, შეკეთა
54.

ელაზე ნახატი ნანა
მურაღულიანი

«Дилас» («Утро»), ежемесячный
журнал ЦК ЛКСМ Грузии и Гру-
зинского Республиканского Совета
Всеюэной пионерской организации
им. В. И. Ленина для младшекласс-
ников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издатель-
ства ЦК КП Грузии.
Главный редактор Эвнер Нижара-
дзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства:
380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж
168.000. Заказ № 54



ჩხირკედელა



ჩხირკედელა და უკავილეები

ჩხირკედელამ გააწვითა კრების ფერადი ქალღღებისაგან ლამაზი უვავილები გაეკეთებინა და სარეპარტოდ ხაზხაშის დედოფლისათვის მიეძღვნა.

უპაპარტო: უკავილის გასაკეთებლად მან წითელი ქალღღელი აიღო, გამოჭრა გვირგვინისათვის ხუთი ფურცელი, შემდეგ შავი ქალღღელი კუწრუბებად დაჭრა და რბილ მავთულზე შემოახვია. ისე გააწვია უვავილის გული. ძაფისა და წებოს დახმარებით გულის გარშემო თანამიმდევრულად მიამარგა უკავილის გვირგვინის ფურცლები, გაასწორა, უწუნწე წებოთი მწვენი ქალღღელი დააგზინა და უკავილე მზად იყო.

ახლა ნახეთ, როგორ გააკეთა რკოს კაცუნამ გვირილა, ცისფერი და ყვითელი ბაია-უვავილი. თითოი ქალღღებისაგან გვირილას გვირგვინი გამოჭრა, ისე როგორც ნახაწვია მოცემული, შემდეგ მავთულის ერთ ბოლოს თავი გაღვურჩია, გვირგვინი უწუნწე წამოაგო და ზვიდან ყვითელი გული დააწვია. ასე დაამარგა უვავილის გვირგვინი უწუნწე: მერე ისევე, როგორც უკავილე დეროს, მწვენი ქალღღელი შემოახვია. ასეთივე წებოთი გააკეთა ცისფერი და ყვითელი ბაიას უვავილი. დააკვირდით გვირილის და ბაიას უვავილების გვირგვინის თარგებს. ჩხირკედელამ უვავილების ლამაზი თიგული შეკრა და ხაზხაშის დედოფალს მიართვა. ბავშვებო, თქვენც გააკეთეთ ასეთი უვავილების თიგულები, თქვენს მეგობრებს და აღმზარდებებს მიართვით. დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი ნახელავი ხაზუქარი მთ ძალიან გახარებთ.

